

**ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი მრავალხმიანი ბალოვის
და შესრულების პრაქტიკაში კოვიდ-19-ის პანდემიის პერიოდში:
სარბათის შემთხვევა**

შესავალი

სერბეთის კულტურულ კონტექსტსა და რამდენიმე განსხვავებულ დონეზე დიაქრონულად თუ განვიხილავთ, მრავალხმიანი გალობა ხანგრძლივი ისტორიის მქონე ფენომენია¹. ის არსებობს როგორც საერო, ისე საეკლესიო სფეროებში, როგორც ტრადიციული ფოლკლორი (Golemović, 1996: 11-22; Golemović, 1997: 21-37; Jovanović, 2002; Jovanović, 2014; Ranković, 2019,; 156), და, ასევე, როგორც საეკლესიო გალობა (Perković & Radak, 2008). მრავალი გენდერულად და ასაკობრივად განსხვავებული გუნდი ასრულებს მუსიკას პოლიქრონული არანჟირებით, როგორც მოყვარულთა, ისე პროფესიულ დონეზე.

გუნდურ სიმღერაში მონაწილეობა, მუსიკალური მოღვაწეობის გარდა, მომღერალთა ცხოვრებაში მრავალგვარ როლს ასრულებს, მათ შორის, სოციალიზაციისა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის თვალსაზრისით. ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში განსხვავებული პროფილის გუნდები ურბანულ გარემოში სოციალიზაციის ნამდვილი ოაზისებია. ერთობლივი გალობის გამოცდილება შემსრულებელთა შეკავშირებას უწყობს ხელს და აყალიბებს ერთიანობის გრძნობას, რისი ნაკლებობაც აშკარაა ცხოვრების ტექნოლოგიურად განვითარებულ, სწრაფ და გაუცხოებულ პირობებში. ჩემი წინა კვლევები ამ აზრს ამყარებს და გვიჩვენებს, რომ იუგოსლავიის დაშლის პერიოდში, რამაც 1990-იანი წლების სერბეთში ეკონომიკური კრიზისი და პოლიტიკური აშლილობა მოიტანა, გუნდებში მომღერალთა რაოდენობა გაიზარდა (Blagojević, 2018: 329).

2020 წლის დასაწყისში კოვიდ-19-ის პანდემიის (შემდგომში — პანდემია) აფეთქებამ სხვადასხვაგვარად იმოქმედა ადამიანების ცხოვრებაზე მთელს მსოფლიოში. ფიზიკურმა დისტანცირებამ, როგორც ერთ-ერთმა მთავარმა პრევენციულმა ღონისძიებამ, გლობალური ზემოქმედება მოახდინა მრავალხმიანი სიმღერისა და შესრულების პრაქტიკაზე. ამ სტატიამი ყურადღება სერბეთში არსებულ სიტუაციაზეა გამახვილებული. კვლევა ეხება იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც აღმოჩნდნენ პროფესიონალი მუსიკოსები, სტუდენტები და არაპროფესიონალი შემსრულებლები.

ლოქდაუნის დაწყებამ 2020 წლის მარტის შუა რიცხვებიდან მაისის დასაწყისამდე, რაც გულისხმობდა გადაადგილების შეზღუდვას, ჩაკეტვასა და იზოლირებას, ჩემთვის, ვინც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მომღერალი ვიყავი, ცხოვრება ძალიან შეცვალა და ეს საკითხი მთელი სიგრძე-სიგანით დადგა ჩემს წინაშე. ლოქდაუნის შემდეგ გუნდების მომღერალთა ცხოვრება ავტომატურად არ დაბრუნებია ნორმალურ კალაპოტს, რადგან ჯერ კიდევ არსებობდა (და არსებობს) ინფიცირების საფრთხე. 2020 წლის ივლისის დასაწყისიდან, სახიფათო პანდემიური ვითარების გამო, სერბეთის მოქალაქეებს მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში შეეძლოთ გამგზავრება. ამან გამოიწვია ის, რომ სხვა ქვეყნებთან კომუნიკაცია და ღონისძიებების დიდი ნაწილი, ადრინდელზე უფრო ხშირად,

¹ ეს ტექსტი ა SASA-ს ეთნოგრაფიულ ინსტიტუტში მუშაობის შედეგია, რომელიც დააფინანსა სერბეთის რესპუბლიკის განათლების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიური განვითარების სამინისტრომ და ემყარება შეთანხმებას 2022 წელს NIO სამეცნიერო კვლევის განხორციელებისა და დაფინანსების შესახებ: №451-03-68/2022-14/200173; 04/02/2022.

ინტერნეტის მეშვეობით ხორციელდებოდა. ონლაინ კონფერენციებში მონაწილეობის გამოცდილება, რომელიც მივიღე, ამ პრაქტიკის სასარგებლოდ მეტყველებს.

მუსიკალური თანამშრომლობის ადრე არსებულმა განსხვავებულმა ფორმებმა ინტერნეტ სფეროს სხვადასხვა პლატფორმაზე (სკაიპი, ზუმი და ა.შ.) გადაინაცვლა. მრავალდღიანი იზოლაციის შემდეგ კავშირის და, თუნდაც ინტერნეტით, ერთად სიმღერის მოთხოვნილება მოსახლეობის ნაწილისათვის სულიერი საღებუნი და მენტალური სტაბილურობის შენარჩუნების საშუალება აღმოჩნდა. ამ კვლევის ერთ-ერთი მიზანი არის ამ სახის მუსიკალური კომუნიკაციის უპირატესობებისა და ნაკლოვანებების ჩვენება, აღწერა იმისა, თუ თვითონ მონაწილენი როგორც განიცდიან მას და გაგრძელება თუ არა ის პანდემიის დასრულების შემდეგ.

მრავალმხიანი სიმღერა და ინტერნეტ ტექნოლოგიები

უკვე დიდი ხანია, რაც ინტერნეტ-ტექნოლოგიებს იყენებენ სასიმღერო (და სხვა) უნარების ტრანსლირებისათვის. სასიმღერო აქტივობის განსხვავებული სახეები ონლაინ მიმდინარეობს და ისინი, ძირითადად, საგანმანათლებლოა. კვლევის პროცესში წავანყიდი ინფორმაციას, რომ სერბეთში სიმღერის გაკვეთილები და მრავალი სახის მუსიკის სემინარები, სხვადასხვა აპლიკაციის გამოყენებით, ჯერ კიდევ პანდემიამდე ონლაინ მიმდინარეობდა, განსაკუთრებით, ეს ეხება ტრადიციულ ფოლკლორულ სიმღერას და ბიზანტიურ საეკლესიო მუსიკას.

პირველ შემთხვევაში, ჩვენი მასწავლებლები გაკვეთილებს უტარებდნენ სხვა ქვეყნების მცხოვრებლებს, როგორც უცხოელებს, ისე სერბული წარმოშობის ადამიანებს, რომლებსაც აინტერესებდათ სერბული მუსიკალური მემკვიდრეობა. ბიზანტიური საეკლესიო მუსიკის შემთხვევაში, იმის გამო, რომ სერბეთში ძალიან ცოტაა ამ მუსიკის მასწავლებელი და ისინი, ძირითადად, ბელგრადსა და ნოვი სადში ცხოვრობენ, გაკვეთილები ტარდება მათთვის, ვინც ამ ქალაქებიდან შორს ცხოვრობს. ზოგჯერ ამ გაკვეთილებს საბერძნეთში მცხოვრები მასწავლებლები ატარებენ.

ინტერნეტ-კავშირის დასამყარებლად იყენებენ ჩვეულებრივ მონყობილობებს, სმარტფონებს, ლეპტოპებს, დესკტოპებს, ტაბლეტებს და ა.შ. უკეთესი შედეგების მისაღწევად უფრო მაღალი ხარისხის და უფრო ძვირი აღჭურვილობაა საჭირო (კამერები, მიკროფონები და ა.შ.), რაც ამ კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობას არ აქვს. ისინი იყენებენ აპლიკაციებს და პლატფორმებს, მაგალითად, სკაიპს, ფეისბუქ-მესინჯერს, ვაიბერს, ვოთსაპ-მესინჯერს, სმულს, მიქსორდს, პანდემიის დაწყების შემდეგ კი ზუმის ვიდეო კომუნიკატორს და ა.შ.

ლოქდაუნის პერიოდში მუსიკალური ხელოვნების ფაკულტეტის ეთნოგრაფიის დეპარტამენტში ტრადიციული სიმღერის და შესრულების მეიჯორ პროგრამის პროფესორმა სანია რანკოვიჩმა (Sanja Ranković) ჩაატარა ონლაინ ლექციები თეორიაში და, ასევე, სიმღერის ინდივიდუალური გაკვეთილები სტუდენტებისათვის. ამის გაკეთება მასწავლებლისგან დამატებით ძალისხმევას მოითხოვს, თუმცა სტუდენტებთან მუშაობის შედეგები ყოველთვის ძალიან კარგი იყო. სტუდენტებმა ჩანერეს საკუთარი შესრულება, რათა მასწავლებლისგან მიეღოთ შეფასება და შენიშვნები იმის თაობაზე, თუ რამდენად კარგად დაეუფლნენ ახალ სიმღერებს. ამან მათ უფრო ბევრით შრომისაკენ უბიძგა, რადგან ჩანაწერების დახმარებით მათ საკუთარი შესრულების ნაკლის მოსმენა შეუძლიათ და, შესაბამისად, შესრულების გაუმჯობესებაც. მათ ჩანერეს პირველი ხმა და შემდეგ მეორე ხმა. მათ, აგრეთვე, ინტერნეტის დახმარებით ონლაინ მიიღეს სავარჯიშო მასალა (საველე ჩანაწერები, მასწავლებლის შესრულება, თეორიული ტექსტები და ა.შ.).

გარდა ამისა, ლოქდაუნის პირველი თვესავერის განმავლობაში მათ უამრავი დრო ჰქონდათ ვარჯიშისთვის. განუწყვეტელი შრომის შედეგად გაუმჯობესდა იმ სტუდენ-

ტების შესრულება, რომელთა შედეგები მანამდე არ იყო სათანადო დონეზე. მეორე სემესტრის ბოლოს გამოცდები რეალურ დრო-სივრცეში ჩატარდა. ახალი აკადემიური წელი შერეული მეთოდით დაიწყო, თეორიული გაკვეთილები ტარდებოდა ონლაინ, სიმღერის გაკვეთილები კი - აუდიტორიებში. პროფესორი მკაცრად მოითხოვდა რეკომენდებული ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების დაცვას, ე.ი. გაკვეთილების ჩატარება მცირე ჯგუფებთან, ფიზიკური დისტანციის დაცვა სტუდენტებს შორის და ა. შ. მიუხედავად იმისა, რომ ონლაინ სწავლებამ კარგი შედეგები მოგვცა, მასწავლებლებიც და სტუდენტებიც თანხმდებიან, რომ ტრადიციული მეთოდით მუშაობა უფრო ადვილია. სექტემბრის შემდეგ, მუსიკალურმა სკოლებმაც ყველა სასიმღერო აქტივობასთან დაკავშირებული მეცადინეობები ძველი მეთოდით განაგრძეს.

პანდემიის განმავლობაში ზუმის პლატფორმაზე ჩატარდა რამდენიმე სემინარი, რომლებიც ეძღვნებოდა ტრადიციულ ხალხურ სიმღერას. მაგალითად, სერბული ხალხური სიმღერების ცნობილმა შემსრულებელმა სვეტლანა სპაიჩმა (Svetlana Spajic) ზუმის პლატფორმაზე ორი საერთაშორისო ვორკშოფი ჩაატარა. მიუხედავად იმისა, რომ დამსწრენი კმაყოფილი დარჩნენ, ლექტორისთვის, ზუმის ტექნიკური ნაკლოვანებების გამო, ეს გამოცდილება სტრესული აღმოჩნდა. თავის ვოკალურ ჯგუფთან — „სვეტლანა სპაიჩის მომღერალთა ჯგუფი“ — ერთად მან რამდენიმე რეპეტიცია რეალურ სივრცეში ჩაატარა, ხოლო ონლაინ რეპეტიციებს ის არც კი განიხილავს.

ჩემი თანამოსაუბრეები თანხმდებიან, რომ არსებულ ინტერნეტ აპლიკაციებს არ გააჩნიათ საკმარისი ტექნიკური დონე გუნდის რეპეტიციისათვის მაღლი ხარისხის მხარდაჭერის გასანევადად. სამწუხაროდ, ერთდროულად და რეალურ დროში სიმღერაც და, ამავე დროს, ერთმანეთის მოსმენაც უფრო მეტი ადამიანისათვის შეუძლებელია. ამან შექმნა სიტუაცია, როცა რამდენიმე გუნდი იყენებს „ერთი მიმართულების ოპციას“, ე.ი. გუნდის დირექტორები მომღერლებისთვის ამზადებენ მუსიკალური ნაწილების ჩანაწერების, რათა გაუადვილონ მათ ახალი რეპერტუარის შესწავლა. შემდეგ, ინტერნეტის საშუალებით, ამ ჩანაწერებს უგზავნიან. მომღერლები დამოუკიდებლად მეცადინეობენ იმ იმედით, რომ მალე ერთობლივ მეცადინეობას შეძლებენ.

პანდემიამდე და განსაკუთრებით პანდემიის შემდეგ პოპულარული იყო მომღერლებისა (და მუსიკალურ ინსტრუმენტებზე შემსრულებლების) ინდივიდუალური აუდიო და ვიდეორჩანერა. შემდეგ ამ ჩანაწერებს იყენებენ კოლაჟის დასამზადებლად, რათა სასურველი კომპოზიცია მიიღონ. ეს მუსიკალური პროექტები ძირითადად ხელმისაწვდომია YouTube-ზე. ძალიან ხშირად ვხედავთ, რომ მომღერლებს და დამკვერელებს ყურსასმენები უკეთიათ. კვლევამ უჩვენა, რომ ინტერნეტმომხმარებლები ხშირად ფიქრობენ, რომ ჩანაწერი რეალურ დროშია გაკეთებული, ე.ი. შემსრულებლები ერთდროულად მღერიან და უკრავენ თავიანთ ოთახებში და ჩანაწერს შემდგომი დამუშავების გარეშე ათავსებენ ინტერნეტში. თუმცა ეს პროცესი მრავალსაათიან ძალისხმევას და მოთმინებას მოითხოვს, რათა ცალკეული სემენტები ე.ი. ხმები და მუსიკალური ინსტრუმენტები ერთ მთლიანობად შეიკრას. ასე რომ, მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო პროდუქტი გუნდის სიმღერის ან ცოცხალი შესრულების შთაბეჭდილებას ტოვებს, მონაწილეებს ამის განცდა არ აქვთ, რადგან ისინი ერთმანეთთან არ ურთიერთობენ. ეს კოლაჟური ჩანაწერები რეალურად ვირტუალური კომუნიკაციის ახალ სახეს წარმოადგენს.

პანდემიის პერიოდში მუსიკოსებმა მრავალი ასეთი პროექტი განახორციელეს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, საზღვარგარეთ. 2020 წლის აპრილში ინტერნეტ სივრცეში დაარსდა ვირტუალური სერბული სასიმღერო საზოგადოება (თქე Vირტუალ შერბიან შინგინგ შოციეტე). ეს ვირტუალური სასიმღერო ასოციაცია მთელს მსოფლიოში აერთიანებს ყველა დაინტერესებულ ადამიანს, ასაკისა და სქესის განურჩევლად. მასში მონაწილეობისათვის საჭიროა ასოციაციის გვერდზე აიტვირთოს რაიმე კომპოზიციის აუდიო ან

ვიდეოჩანაწერი, რომელსაც ტექნიკოსი შეუსაბამებს სხვა ნევრების ჩანაწერებს. ამ ასოციაციამ უკვე უამრავი ჩანაწერი გამოუშვა, რომლებიც ხელმისაწვდომია ინტერნეტით და, ასევე, შესაძლებელია მათი მოძიება ასოციაციის ფეისიბუქ გვერდზე (ვიდეომაგ. 1).

რეალურ სივრცეში არსებული ჯგუფების კიდევ რამდენიმე მაგალითს დავასახელებ, როგორცაა ხალხური სიმღერა „ნათელი მთვარე ანათებს“ (სერბულად: „Izgrejala sjajna mesečina“), რომელსაც ასრულებს აკადემიური კულტურულ-შემოქმედებითი საზოგადოების (the Academic Cultural – Artistic Society) ფოლკლორული ორკესტრი “Ivo Lola Ribar” ბელგრადიდან, არანჟირება ალექსანდარ სტეპიჩის (Aleksandar Stepic), ჩანაწერი ლოქდაუნის დროს გაკეთდა. მთელი პროექტი გააერთიანა კატარინა ბრონიამ (Katarina Bronja). ამისათვის მას არაერთი საათი დასჭირდა (ვიდეომაგ. 2). გარდა ამისა, დავასახელებ შაბაცის (Sabac) მუსიკალური სკოლის მასწავლებელთა და სტუდენტთა ორიგინალურ სიმღერას „მოდით, სახლში დავრჩეთ“, რომლის შთაგონების წყაროც პანდემიაა (ვიდეომაგ. 3). 2020 წლის აპრილის დასაწყისში, იზოლაციის პირობებში საინტერესო მუსიკალური ფიუჯენი შექმნეს ქრონოს კვარტეტმა (Kronos Quartet) და კოვილის წმინდა მთავარანგელოზების მონასტრის იერობერმა იეროთეიმ (Jerotej). სერბი კომპოზიტორი ალექსანდრა ვრებალოვა (Aleksandra Vrebalov) ნოვი სადიდან შექმნა მუსიკალური ნაწარმოები „ანტენები“, რომელსაც, თავდაპირველი ჩანაწერით, უფრო მდიდარი არანჟირება უნდა ჰქონოდა, პრემიერა დაგეგმილი იყო მარტის ბოლოსთვის (ვიდეომაგ. 4). თუმცა იმ პერიოდში პროექტის ყველა მონაწილე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში იყო იზოლირებული (Kronos Quartet, 2020). ქრონოს კვარტეტის ნევრები სან ფრანცისკოში იყვნენ, ხოლო მამა იეროთეი თავის მონასტერში, რომელიც სერბეთის ჩრდილოეთშია მდებარეობს. კომპოზიტორმა, რომელიც ნოვი სადში იყო, მოანსწრია არანჟირება და ყველა ნაწილი შემსრულებლებმა ცალ-ცალკე ჩანერეს საკუთარ სახლებში და შემდეგ გააერთიანეს. პრემიერა ვირტუალურ სივრცეში დაგეგმილზე ორი კვირით გვიან, 14 აპრილს გაიმართა (Kronos Quartet, 2020). დევიდ ჰარინგტონი, ქრონოს კვარტეტის ხელმძღვანელი, დამაარსებელი და მევიოლინე „ანტენების“ შექმნის გამოცდილებას აღწერს, როგორც მათთვის რალაც სავსებით ახალსა და უჩვეულოს: „ჩვენ საკუთარი თავის ჩანერის ან ფირზე გადაღების არანაირი გამოცდილება არ გვქონდა. თითოეული თავის ინსტრუმენტზე საკუთარ სახლში უკრავდა და ვცდილობდით, ნაწარმოებები და გაგვეხსენებინა ჩვენი ჯგუფი. ჩვენ არ გვესმოდა და ვერც ვხედავდით ერთმანეთს. გვჭირდებოდა რაიმე დადასტურება იმისა, რომ შესაძლებელი იყო ჩვენი საქმიანობის გაგრძელება. ალექსანდრა, ბერი იეროთეოსი და ჯოვანი სერბეთში არიან. ჩვენ — სანფრანცისკოში. ალექსანდრას „ანტენების“ ფრაგმენტის მსოფლიო პრემიერა სავსებით განსხვავდება იმ ნაწარმოებების პრემიერებისგან, რომლებიც ოდესმე შეგვისრულებია. ამ უცნაურ ანმეოში არის ენერჯია და სინათლის გაელვებები. ჩვენ მადლიერი ვართ ჩვენი თანამშრომლებისა და მუსიკის მოყვარულთა საზოგადოების. სერიოზული დახმარების პირობებში, ჩვენ შეგვიძლია წინსვლა“ (Kronos Quartet, 2020).

პოპულარული მუსიკის სფეროში ინტერნეტით ჯგუფური შესრულების დროს ფართოდ გამოიყენებოდა სმულის აპლიკაცია. ამ აპლიკაციას იყენებს ყველა, ვისაც უნდა საკუთარი შესრულების ჩანერა ფონური მატრიცით და ამ შესრულებაში ყველას შეუძლია მონაწილეობა. მაგალითად, ანა ბაიჩა (Ana Bajić), ნოვი სადის მუსიკალური სკოლის “Melodies” სიმღერის პროფესორმა პანდემიის პერიოდში ინტერნეტით შეძლო თანამშრომლობა და ჩანერა დუეტი იტალიელ მომღერალთან ფლორენციიდან ანტონიო ლანცასთან (Antonio Lanza) (Obradović, 2020). მუსიკალური ფონის გამოყენებით მათ იმღერეს „ლოცვა“ რომელიც სელინ დიონმა და ანდრეა ბოჩელიმ შეასრულეს (ვიდეომაგ. 5).

მრავალზმიანი სიმღერა რეალურ დრო-სივრცეში პანდემიის პერიოდში

შეუძლებელია ზუსტად დავადგინოთ, პანდემიის პერიოდში რამდენად ფართოდ იყო გავრცელებული მრავალზმიანი სიმღერების შესრულება რეალურ დრო-სივრცეში, განსაკუთრებით კერძო დონეზე, როცა ადამიანები ერთმანეთს ხვდებოდნენ ან საოჯახო დღესასწაულებს აწყობდნენ. კვლევისას აღმოვაჩინე, რომ ადამიანები უფრო მცირე ჯგუფებად განაგრძობდნენ შეკრებას ერთად დაკვირისა და სიმღერის მიზნით. საგანგებო ღონისძიებების გაუქმების შემდეგ და, განსაკუთრებით, ზაფხულში, დაავადებულთა რიცხვის ზრდის მიუხედავად, შეკრება და ჯგუფური სიმღერა და მუზიცირება რეალურ დრო-სივრცეში არ შეწყვეტილა.

ინსტიტუციურ დონეზე, პანდემიის პერიოდში, მრავალზმიანი სიმღერა ყლერდა სერბეთის მართლმადიდებლურ ეკლესიაში მსახურებისას. ერთობლივი გალობა მართლმადიდებლური ქრისტიანული მსახურების განუყოფელი ნაწილია. თუმცა ლოქდაუნის პერიოდში, მოსახლეობისათვის შაბათ-კვირას გადაადგილების სრულმა აკრძალვამ საეკლესიო გალობაზეც მოახდინა გავლენა. მღვდლებს და ერთ-ერთ მგალობელს თითოეულ ეკლესიაში მისცეს სპეციალური ნებართვები წირვის ჩასატარებლად. ამის გამო, შაბათსა და კვირას წირვებზე უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ ერთი მგალობელი იყო, ასე რომ, ეს მონოფონიური გალობა იყო. ზოგჯერ მღვდელი საკურთხევილიდან მეორე ხმას მღეროდა. სამუშაო დღეებში წირვების ჩატარებას პრობლემა არ ექმნებოდა, თუ რამდენიმე მომღერლით მეტი ესწრებოდა, საქმე ისაა, რომ მათ, თავისი სამსახურეობრივი მოვალეობების გამო, წირვებზე დასწრება ყოველთვის არ შეეძლოთ. აღდგომის დღესასწაულზე ზოგიერთი მორწმუნე, მიუხედავად სამთავრობო აკრძალვისა, დაესწრო წირვას და იგალობა კიდევაც. საგანგებო მდგომარეობის მოხსნის შემდეგ, გუნდების უმრავლესობა დაუბრუნდა ეკლესიებს, ისევე. როგორც მგალობელთა მცირე ორზმიანი ჯგუფები. საინტერესოა, რომ არც ერთ ეკლესიაში, სადაც უფრო მეტი ადამიანი გალობდა, არ აღმოჩნდა ვირუსის ეპიცენტრი ან ახლად ინფიცირებულთა დიდი რაოდენობა. ამგვარი რამ, ცხადია, მიიპყრობდა მედიის ყურადღებას, რომელიც მზად იყო გაეკრიტიკებინა მორწმუნეთა შეკრებები სერბეთის მართლმადიდებლურ ეკლესიებში პანდემიის პერიოდში.

მეორე მხრივ, მრავალ მოყვარულთა, ნახევრად პროფესიულ და პროფესიულ გუნდს არ ჩაუტარებია რეპეტიციები, რადგან არ სურდათ ინფიცირების საფრთხის წინაშე აღმოჩენილიყვნენ. სექტემბერში, ოდნავ გაუმჯობესებული პანდემიური ვითარების გამო, რეპეტიციები ჩატარდა და, ასევე, რამდენიმე საჯარო შესრულება შედგა. თუმცა ყველაფერი კეთდებოდა ძალიან ფრთხილად და გარკვეული ნერვიულობაც ახლდა თან. ზოგიერთ გუნდში უფრო მცირე ჯგუფებში ტარდებოდა მეცადინეობა, მაგალითად, სერბეთის რადიოსა და ტელევიზიის პროფესიულ გუნდში. რეპეტიციები ტარდებოდა მაქსიმალურად მცირე ჯგუფებში, რამდენიმე განსხვავებული განრიგითა და შენობის ხშირი განიავების პირობით.

აკადემიური მუსიკის სფეროში ინფიცირების რისკის შემცირების და ცოცხლად შესრულების მიზნით სექტემბრიდან ცნობილი კლასიკური ნაწარმოებების შემცირებული ვარიანტები სრულდება. “Rossi fest”-ის მიმდინარეობისას დირიჟორ სტეფან ზეკიჩის (Stefan Zekić) ხელმძღვანელობით ნარმოადგინეს ბიზეს ოპერა „კარმენის“ შემოკლებული ვარიანტი, რომელშიც მონაწილეობდნენ სოლო შემსრულებლები და კამერული ორკესტრი. ეროვნულ თეატრში მოცარტის ოპერა „ბასტიენი და ბასტიენა“ სანახევროდ შეესებულ დარბაზში ნარმოადგინეს და ა.შ. გაგრძელდება თუ არა მუსიკალური ნარმოდგენების ცოცხლად გამართვა, დამოკიდებულია ეპიდემიის შემდგომ განვითარებაზე.

ზოგიერთმა კულტურულ-შემოქმედებითმა საზოგადოებამ, რომლებსაც საქმე აქვთ ტრადიციულ ხალხურ მუსიკასთან, ასევე დაიწყეს მუშაობა რეალურ დრო-სივრცეში — ტარდება რეპეტიციები, სემინარები და საჯაროდ სრულდება ნაწარმოებები, ძირითადად, შემსრულებელთა შორის რეკომენდებული დისტანციის დაცვის გარეშე.

დასკვნა

თემა, რომელსაც აქ შევეხე, ახალი, ცოცხალი და პოპულარულია, სიტუაცია კი მუდმივად იცვლება. ამრიგად, ამ ნაშრომის მიზანი რაიმე კონკრეტული დასკვნების მიღება კი არაა, არამედ რალაცის შექმნის პროცესის „დაჭერა“, რასაც მრავალხმიანი გალობის და მუსიკალური კომუნიკაციის სფეროში „ახალ ნორმალურობას“ უწოდებენ. ტექნიკურად განვითარებულ გარემოში ბოლო ორიოდ წლის განმავლობაში ჩვენი ცხოვრება თანდათანობით რამდენიმე სახის ინტერნეტ პლატფორმად გარდაიქმნა. პანდემიამ ეს პროცესი განსაკუთრებით დააჩქარა და მასობრივი სახე მისცა მას. ფიზიკური დისტანცირების და მოსახლეობის იზოლირების გამო, ინტერნეტი იქცა შეხვედრების, მათ შორის მუსიკალური შეხვედრების მთავარ „ადგილად“. ამ კვლევამ დაადასტურა ის ფაქტი, რომ ადამიანი, როგორც არსება, რომელსაც სჭირდება კომუნიკაცია, ხელმისაწვდომი საშუალებების გამოყენებით, ეგუება ახლად წარმოქმნილ გარემოებებს, რათა დაიკმაყოფილოს ურთიერთობის, ჯგუფთან გაზიარების საჭიროება.

კრიზისულმა სიტუაციამ, თანამედროვე ტექნოლოგიების დახმარებით მიგვიყვანა იმ ადამიანების უფრო დიდ კავშირთან, რომლებიც დაკავებული არიან მრავალხმიანი სიმღერით და შესრულებით სხვადასხვა ქვეყანაში. ამ ვირტუალურმა საერთაშორისო თანამშრომლობამ საინტერესო შედეგები მოიტანა მრავალ დონეზე. „კოლაჟური“ პროექტები, რომლებიც ვახსენე, მონაწილეებში როგორც მოყვარულებში, ასევე პროფესიონალებში წარმოშობს მიკუთვნებულობის და ერთობლივი შემოქმედების გრძნობას, თუმცა რეალურად ისინი იზოლირებული და ერთმანეთისაგან დაშორებული არიან.

ინტერნეტ სფერო ჯერ კიდევ ნაწილობრივ აკმაყოფილებს კომუნიკაციის საჭიროებებს. ამ კვლევამ გვიჩვენა, რომ არსებობს ძველ რეალურ მდგომარეობასთან დაბრუნების უდიდესი სურვილი. ამის ერთ-ერთი მიზეზი არსებული ინტერნეტ პლატფორმების ტექნიკური ნაკლოვანებებია. მაგრამ ჩემი თანამოსაუბრეები აღნიშნავენ, რომ მათ ყველას სჭირდება კოლეგებთან ცოცხალი ურთიერთობა და ცოცხალი აუდიტორია. ამ სახის მუსიკალური კომუნიკაციის ნაკლებობას აზარალებს შესრულებას, ცოცხალი ურთიერთობის ნამდვილობას, ხელოვნების ნაწარმოების შექმნას შემსრულებლებსა და აუდიტორიას შორის ენერჯის ურთიერთგაცვლის მეშვეობით. ჩემი თანამოსაუბრეები აუდიტორიის გარეშე შესრულებას ხშირად ახასიათებენ, როგორც შემადრწუნებელს. სწორედ ეს გვაახლოებს ინფიცირების რისკთან და მუსიკალური აქტივობების რეალურ სინამდვილეში დაბრუნების მცდელობასთან, ყოველ შემთხვევაში, რაღაც ზომით მაინც. განვითარების შემდგომი დინამიკა გვიჩვენებს, თუ რა ზომითაა ეს შესაძლებელი; ეს კი მომავალი კვლევის მასალაა.

ვიდეომავალითები

1. სერბული სიმღერის ვირტუალური საზოგადოება “Tebe Pojem”. კომპოზიტორი: სტევან სტოიანოვიჩ მოკრაიაკი (Stevan Stojanović Mokranjac). დირიჟორი: ჯორჯ მილოში (George Milosh). ვიდეო შექმნილი და რედაქტირებულია ნიკ ვეზმარისა (Nick Vezmar) და სტევან სტოიანოვიჩ მოკრაიაკის მიერ. <https://www.youtube.com/watch?v=t7I4FDH-Fyg&feature=youtu.be&fbclid=IwAR1M440K1ozEkOhhlABGTG1Wa9MVoFPz3EqLmeNoFYNLnxmQF4GxhUUzUOs>
2. ბელგრადის აკადემიური კულტურულ-სახელოვნებო საზოგადოების “Ivo Lola Ribar” ფოლკლორული ორკესტრი. „მნათობი მთვარის შუქი“ (“Izgrejala sjajna mesečina”) არანჟირებულია ალექსანდერ სტეფიჩის (Aleksandar Stević) მიერ. მიქსის ავტორი: კატერინა ბრონია (Katarina Bronja). <https://www.youtube.com/watch?v=EWHmoEtY5aA>
3. მუსიკალური სკოლა შაბაჩიდან. „დავრჩეთ სახლში“ (“Kod kuće ostanimo”). <https://www.youtube.com/watch?v=qzomuL2fsi0>
4. კრონოსის კვარტეტი და იერონონა იეროთეუსი (hieromonk Hieroteus). „ანტენები“ (“Antennae”). კომპოზიტორი: ალექსანდრა ვრებელოვი (Alexandra Vrebalov), აუდიოს მიქსის ავტორი და ვიდეოს რედაქტორი — იოვან შპირა ობრადოვიჩი (Jovan Shpira Obradovic). <https://kronosquartet.org/kronos-and-monk-hierotheos-premiere-aleksandra-vrebalovs-antennae-a-fragment/>
5. „ლოცვა“ (“The Prayer”). ანა ბაჯიჩი და ანტონიო ლანზა (Ana Bajić, Antonio Lanza). <https://luftika.rs/ana-bajic-duet-smule/>